პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 31 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

68 (1063)

1 და 2 ქართული მსრ· დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. ბოლ. 4 გვ. 40 კ.

## მეთაურთა და პოლიტსკოლების შევსებისათვის.

მეთაურთა და პოლიტიკურ სკოლებში—აპრილიდან უკვე შესწყდება მეცადინეობა სექტემბრამდი.

მეცადინეობის დასრულებასთან ერთად ეს სკოლები გამოუშვებენ ყოველმხრივ და კარგად მომზადებულ მეთაურებს და პოლიტხელებს, რომლებიც გაიგზავნებიან სამუშაოთ ჩვენი ჯარის ნაწილებში.

მაგრამ მათი გამოშვება, ახალი ამოცანას აყენებს ამ სკოლების წინაშე.

სახელდობრ იმას, რომ ჩვენ ამ თავითვე უნდა ვეცადოთ, რომ ეს სკოლები ახალი ამხანაგებით შევავსოთ.

მეთაურთა და პოლიტიკურ სკოლების ახალი ამხანაგებით შევსებისათვის, ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, რომლებმაც ჩვენ ამ სკოლებისათვის უნდა გამოგვიგზავნონ ამხანაგები.

როგორც გამოირკვა ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობაში ამ უკანასკნელ ხანებში მეტად იზრდება სურვილი და მისწრაფება—ასეთი სამხედრო სკოლებში შესვლისაკენ.

რასაკვირველია სურვილის ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობა მიისწრაფის იმისაკენ, რომ შეიძინოს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა და მთელი თავისი ენერგიით დაიცვას მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

მაგრამ მეორეს მხრივ კი აუცილებლათ საჭიროა, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა მხედველობიდან არ გაუშვან შემდეგი მეტად საყურადღებო მოვლენები:

უპირველესათ ყოვლისა საჭიროა, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი იქნეს სამხედრო სკოლებისათვის ისეთი ამხანაგები, რომლებიც უფრო მეტად აქტიურია. სამხედრო სკოლების ახალი კურსანტებით შევსების დროს, უნდა საგრძნობლად მოიმატოს სკოლების პარტიული შემადგენლობამ და მაშასადამე ადგილობრივი პარტორგანიზაციებმა სათანადო ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ ამოცანის შესრულებას.

მათ მიერ პირველ რიგში გამოგზავნილ უნდა იქნენ პარტიული ამხანაგები.

გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესდღეულათ სამხედრო სკოლების შემადგენლობაში განსაკუთრებითი სიჭარბეა გლეხური ელემენტების.

და აი ამიტომ კი ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ენერგიული მუშაობა მუშურ მასაში და უნდა ეცადონ, რომ არა მარტო გლეხური ელემენტები, არამედ მუშური ელემენტებიც მიაწოდონ სამხედრო სკოლებს.

აგრეთვე ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაციონალურ უმცირესობის მხარეებიდან, როგორიც არის: აჭარისტანი, აფხაზეთი და ოსეთი—აქტიური ამხანაგების გამოყოფას და მათი სამხედრო სკოლებში გაგზავნას.

აქაც რასაკვირველია ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა უნდა დაგვეხმარონ და მათი თაოსნობით უნდა იქნეს მოგვარებული ეს საკითხიც.

აი ყველა ის საკითხები, რომლებიც ჩვენ სასურველათ უნდა გადავჭრათ ადგილობრივ პარტორგანიზაციების დახმარებით.

ამ საკითხების სათანადო გადაჭრით ჩვენ შევსძლებთ სამხედრო სკოლების ახალი ამხანაგებით შევსებას და ამით კი მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის აქტიურ და გამოსადეგი მუშაკების აღზრდას.

## ახალი რადიო ამბები

### რიფებმა გააძლიერეს მოქმედება.

მაროკოდან მიღებულ ცნობებით აჯანყებულ რიფებმა გააძლიერეს მოქმედება,

რამოდენიმე ტომი, რომლებიც დღემდის საფრანგეთის მხარეზე იყო, აპირებს აჯანყებულთა მხარეზე გადასვლას.

ცნობებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის ცნობები მათი მდგომარეობის შესახებ მაროკოში,—სიმართლეს მოკლებულია.

### საფრანგეთის მთავრობის ბედი.

როგორც ფრანგულ „ჟურნალის" ცნობებიდან სჩანს სოციალისტები და კომუნისტები წინააღმდეგ მისცემენ ხმას მთავრობის საფინანსო გეგმას.

მთავრობის ბედს გადასწყვეტს ის, თუ მემარჯვენე პარტიები როგორ მოიქცევიან.

### მთავრობის კრიზისი რუმინეთში.

რუმინეთის მეფემ წინადადება მისცა ოპოზიციონურ პარტიის ბელადებს წარმოადგინონ მინისტრთა სიები შერეულ მთავრობის შესადგენად.

თუ რომ შერეული მთავრობა შეუძლებელი იქნება, თვითეული პარტია ცალკე სიას წარადგენს.

### ბრატიანუ გადადგა.

რუმინეთის პრესის ცნობით გადადგა რუმინეთის მთავრობა (ბრატიანუს შედგენილი).

### საბჭოთა კავშირის კრედიტი გერმანიაში.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, საბჭოთა კრედიტებზე ფულის გაცემა გერმანიის მრეწველთა მიერ იწარმოებს იმ სესხის ხარჯზე, რომელიც მიღებულ იქნება ამერიკაში.

კრედიტის დაწყებითი ჯამი უდრის 40 მილიონ დოლარს.

## საბჭოთა კავშირში

### ავსტრიის მუშათა დელეგაციის მიმართვა მოსკოვის მუშებისადმი.

ავსტრიის მუშათა დელეგაციამ დაბრუნებისას მიმართა მოწოდებით მოსკოვის მუშებს, რომლებსაც დიდ მადლობას უცხადებენ სტუმართმოყვარეობისთვის.

„ჩვენი მოგზაურობა—ნათქვამია მოწოდებაში—მდიდარია შედეგებით. ჩვენ სიტყვას გაძლევთ ვუამბოთ ავსტრიის პროლეტარიატს ყველაფერი, რაც აქ ვნახეთ და გავიგეთ.

ჩვენ გავაძლიერებთ ავსტრიის პროლეტარიატის ბრძოლას პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობისთვის".

### ჩვენი მრეწველობა წინ მიდის.

სასოფლო სამეურნეო მანქანების დამმზადებელ ქარხანა—„წითელ ვარსკვლავმა" (ზინოვიევსკში) წარმოების დიდ სისწრაფეს მიაღწია.

ყოველ ორ წუთში ქარხანა ამზადებს 1 სათესს და ყოველ 5 წუთში—1 სალეწს. ამ დღეებში ქარხანამ გამოუშვა სალეწი, რომელიც არაფრით ამ ჩამოუვარდება ამერიკისას.

ასეთი სალეწი პირველად დამზადდა საბჭოთა ქარხანაში.

## საქართველოში

### აღმშენებლობა გორის მაზრაში.

გორში და გორის მაზრაში მიდის გაცხოველებული სააღმშენებლო მუშაობა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩატარებულ იქნა შემდეგი მუშაობა: შეკეთებულ და ხელახლად მოწყობილ იქნა ჰიდრო-ელექტროსადგური 125 ცხენის ძალისა, დამთავრებულ იქნა ქალაქის აბანოს მოწყობა, შეკეთებულ იქნა წყალსადენი, ხიდები, გზები და სხვა.

ამჟამად ქალაქში ფართოვდება ქუჩები, შენდება კოოპერატივის სახლი და სამი რკინის ხიდი.

ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1) მაზრის საბჭოების არჩევნების შედეგები.
2) ელსადენის გაყვანილობათა ნორმები.
3) ტრამვაიელების კომ. მუშათა სახლის ასაგებად პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## საკავშ. ლენინურ ახკომკავშირის მე-7 ყრილობის მუშაობის ჯამი.

22 მარტს დაასრულა წთავის მუშაობა ლენინურ ახკომკავშირის სრულიად საკავშირო ყრილობამ. ამ ყრილობის მნიშვნელობა კომკავშირში შემდეგი განვითარების თვალსაზრისით დიდია. ყრილობა მოხდა ოპოზიციასა და კომკავშირის ოპოზიციასთან ბრძოლის შემდეგ.

კომკავშირის ოპოზიცია ეყრდნობოდა ლენინგრადის ორგანიზაციას, აწარმოებდა ფრაქციულ მუშაობას და სცდილობოდა აემხედრებია კომკავშირი პარტიის ლენინურ ხაზის წინააღმდეგ.

ყრილობას მთელი ლენინურ ახკომკავშირის სახელით უნდა გამოეჩინა თავისი დამოკიდებულება კომკავშირის ცეკასა და ლენინგრადის ორგანიზაციის ყოფილ ხელმძღვანელთა პოზიციისადმი.

ყრილობის წინაშე ძნელი ამოცანები იდგა: კომკავშირის შემდეგი განვითარების გენერალურ სქემის დაწვრილებითი დამუშავება,—სქემის, რომელიც უკვე მიიღო პარტყრილობამ.

ყრილობამ წარმატებით შეასრულა მის წინაშე მდგომი ამოცანები.

კომკავშირის ოპოზიცია საბოლოოდ დამარცხდა ყრილობაზე. ყრილობა მთლიანად შეუერთდა მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. ამასთან კავშირის ლენინგრადის ორგანიზაციამ ყრილობაზე დაიკავა, როგორც ყოველთვის, კომკავშირის მოწინავე და უხუცეს რაზმის ადგილი.

ყრილობამ ერთხმად და ერთსულოვნად დასახა მომავალი მუშაობის ამოცანები. ძირითადი საკითხები: კომკავშირის მუშაობის შინაარსისა და მეთოდების შეცვლის, სოციალისტური აღზრდის, ყოფა-ცხოვრებისა და პარტიულ ხელმძღვანელობის შესახებ—მე-7 ყრილობამ დაწვრილებით დაამუშავა.

ყრილობის ყველა დადგენილებებში წითელი ზოლივით მოსჩანს კონკრეტი დარიგებები იმის შესახებ, თუ როგორ შეუგუონ კავშირის აღმზრდელობითი საქმიანობა მიმდინარე მოთხოვნილებებს.

ძირითადი ხერხემალი ამ გადაწყვეტილებათა—ეს არის კულტურულობის შეუღლება, დაკავშირება პოლიტიკასთან, კულტურულ-ეკონომიურ მუშაობის დაკავშირება პოლიტიკურ ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ აღზრდასთან.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროლეტარულ და პარტიულ ხელმძღვანელობის საკითხს, ურომლისოდაც ვერ იქნება წარმატებითი ბოლშევიკური ახალი კადრების აღზრდა ახალ ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

კომკავშირს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დაივიწყოს იმ სიძნელეთა და საშიშროებათა შესახებ, რომლებიც სდგას მის, მუშურ-გლეხური შემადგენლობიან ორგანიზაციის წინაშე, ვინაიდან, პარტიასთან შედარებით, კომკავშირის შემადგენლობის უმეტესობა გლეხურია.

ამიტომ, დაუღალავი ზრუნვა ორგანიზაციის შიგნით მუშურ-გლეხური კავშირის განმტკიცებისა და პროლეტარულ ხელმძღვანელობის გამტკიცების შესახებ—წარმოადგენს კავშირის ძირითად ამოცანას.

კავშირი უკვე საგრძნობლად გაიზარდა და შემდეგშიაც გააგრძელებს ზრდას და თავის რიგებში მოჯამაგირეთა მასების, ღარიბთა ფართე ფენების და საშუალო შეძლების გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის მიზიდვას, ვინაიდან კომკავშირს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ახალგაზრდა სოფლის მოზარდი აქტივობას და ამით დაუთმოს მასზე გავლენა სოციალურად ჩვენთვის უცხო ელემენტებს.

ამიტომ განსაკუთრებული სიმწვავით დგება საკითხი კომკავშირის წინაშე—მიზიდულ იქნას კავშირის რიგებში მუშათა ახალგაზრდობის მთელი მასა, და აგრეთვე გაძლიერებულ იქნას კავშირის ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების მუშაობა, რათა მათ წინ წარუდგენ სოფლის აქტიურ ახალგაზრდობას.

პროლეტარული სწორი ხელმძღვანელობა შეუძლებელია პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე. ამას მკაფიოდ გაუსვა ხაზი ყრილობამ ოპოზიციის წინადადების წინააღმდეგ, სადაც უკანასკნელი უპირისპირებდა პროლეტარულ ხელმძღვანელობას პარტიისას.

პარტიამ უფრო მეტად, ვინემ არასდროს, უნდა დაეხმაროს კავშირს მის წინაშე მდგომ ამოცანების გადაჭრაში.

ვ.

## 120 ᲛᲔᲢᲠᲘ

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ფერი
წითელი ფერია?
ჩვენ ვეტრფით წითელ ფერს.
ყოველ მიტინგზე, როდესაც გვიხდება ლაპარაკი
საერთაშორისო მდგომარეობაზე
და
რევოლიუციის პერსპექტივებზე, რიხიანი ხმით გავიძახით:
„მალე ვიხილავთ დამპალ ევროპის თავზე
აღმართულ წითელ დროშას“.
რამდენათაც ჩვენ გვიყვარს ფერი წითელი,
იმდენათ ყველა ჯურის ბურჟუას და კონტრრევოლიუციონერს
სძულს ეს ფერი.
მაგრამ № ლეგიონმა ყველას გადააჭარბა
ამ სიყვარულში წითელ ფერისადმი.
ახლოვდებოდა ჩვენი ჯარის ხუთი წლის დღესასწაული.
აღსანიშნავად დღესასწაულის უნდა გაგვეხსნა
სამხედრო კუთხეები.
დეე, გასაჯავრებლად კაპიტალის
ყველა მუშამ და გლეხმა ისწავლოს თოფის ხმარება,
დეე შეითვისოს და შეიყვაროს სამხედრო საქმე.
აი № ლეგიონიც ემზადება სამხედრო კუთხეების გახსნისათვის.
ფიქრობენ № ლეგიონში.
იფიქრეს, იფიქრეს და გასწიეს „სინდიკატისკენ“.
— გვიბოძეთ წითელი ფერის რაიმე მატერია.
— რამდენი გნებავთ?
— ცოტა, ასე ასოცი მეტრი.
და დაუთვალეს კუთვნილი თანხა და წაიღეს ასოცი
მეტრი წითელი მატერიის
სამხედრო კუთხის გასახსნელად.
ვიანგარიშე რა დაუჯდა № ლეგიონს ეს
ასოცი მეტრი.
სინდიკატის ფასებით გამოვიდა
61 მან. 20 კაპ.
კაი თანხაა.
კარგათაც მოიქცა № ლეგიონი:
წარმოიდგენთ, რა ლამაზი იქნებიან წითელი სამხედრო
კუთხეები,
რომლებიც გახსნა № ლეგიონმა,
როგორ ესიამოვნება თვალს ხილვა
წითელი ფერის.
რო მიხვალ ამ კუთხეში, გამოსვლა აღარ მოგინდება.
მაგრამ
ამ ასოც მეტრ წითელ ფერის მატერიასთან
ნეტა თუ არის სამხედრო კუთხეში
თვით
სამხედრო მასალა,
რომელიც ახასიათებს სამხედრო კუთხეს?
ამაში, ცოტა არ იყოს,
ეჭვი მეპარება.

ე. ხ.

## ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

გორის მაზრაში ამჟამად არსებობს ერთი სამაზრო, 39 თემის და 29 სოფლის გლეხკომი. გლეხკომებმა მისცა გლეხებს კრედიტი—7.291 ფუთი ხორბალი და 14.399 მანეთი ფულათ.

გლეხკომის ხარჯზე კოოპერატივის წევრებად ჩარიცხულია 186 გლეხი. გლეხებისთვის გლეხკომს გამოწერილი აქვთ გაზ. „კომუნისტი“—37 ცალი, „მუშა“—12 ცალი და „ახალი სოფელი“—206 ცალი.

# Ს Ა Მ Ხ Ე Დ Რ Ო  Ს Ა Ქ Მ Ე

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲨᲚᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ყოველგვარი ჯარების საველე მომზადებას — პრაქტიკულათ, როგორიცაა მათი შეერთებული მოქმედება ტაქტიკურათ მომზადებისათვის, საომარი სროლის წარმოება და სხვა.

იმ დროს, როდესაც ჩვენ (სკოლაში) თითქმის ამოწურული გვაქვს ზამთრის პერიოდის სამოსწავლო გეგმა და გავდივართ მინდორში, სადაც პრაქტიკაზე უნდა გატარდეს თეორიულათ მიღებული ცოდნა, აი აქ გვეღობება წინ დაბრკოლება. საქმე იმაში არის, რომ სამეცადინოთ გასვლის წინა დღეს რუქის საშვალებით ხდება ქ. ტფილისის (სკოლის მოთავსების ადგილის № რაიონის) მიდამოებში სამეცადინო ადგილმდებარეობის ამორჩევა შემდეგი მიმართულებით: მთა მახათის, კუკიის ტბა და გარნიზონის სასროლი ველი. ვადგენთ ამ დღისათვის ამოცანას, მეცადინეობის გეგმას და სხვა. ვაგზავნით ერთ ნაწილს და მეორე კი აწარმოებს შესაფერის მეცადინეობას, ძიებას, შეტევას და სხვა. მიუახლოვდებით თუ არა ამორჩეულ ადგილს, შეგვხვდება კურსანტი მოხსენებით: „ჩვენი სამეცადინო ადგილი სხვა ნაწილს უკავია და აწარმოებს მეცადინეობას“.

ზამთრის პერიოდში სამხედრო ნაწილებმა უნდა გაიარონ სამწყობრო ტაქტიკური მომზადება ყოველმხრივ, რომ ალლუმობის დროს აწარმოვონ ყოველგვარი ჯარის შეერთებული საველე ტაქტიკური მომზადება და სხვა.

აგრეთვე სხვა და სხვა სახის სროლის ვარჯიშობის განვლა, რომ შემდეგში აწარმოვონ ნამდვილი საომარი ვარჯიში. ამიტომ საჭირო არის სამწყობრო სამეცადინო მინდორი, ტირი და ტაქტიკური მეცადინეობის საწარმოებლათ უბნის მიჩენა.

ტფილისის გარნიზონში არ არის არც ერთი ნაწილი, რომ არ იყოს ზემოაღნიშნულით დაკმაყოფილებული, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მთლიანათ დაკმაყოფილებული არა ვართ, მაგალითად, არა გვაქვს ტირი და სამწყობრო მეცადინეობის საწარმოებლათ მინდორი. ჩვენი სკოლის პირდაპირ არის არმიის ავტოგარაჟი, სადაც ავტომობილებისა და საბარგულების უმნიშვნელო ნაწილები ყრია. კარგი იქნებოდა, რომ ნაჩვენები ადგილი სკოლისათვის გადმოეცათ მთლიანათ, ან და ერთი გადახურული მხარე მაინც, საიდანაც ჩვენ შეგვეძლება მოვაწყოთ ტირი 70—80 ნაბიჯი—ნაკლებ გატენილი ვაზნების სასროლად, რაც მოგვიტანს დიდ სარგებლობას.

უნდა აღვნიშნო, რომ გარაჟის ეზოში ჩვენ შესვლის ნებადართული გვაქვს და ვაწარმოებთ მხოლოთ ტანთ-ვარჯიშობას, ვინაიდან ეზოს დიდი სივრცე არა აქვს. რაც შეეხება სამწყობრო სამეცადინო მინდორს, ასეთი ჩვენ ახლოს (ყაზარმის არის) შევარდნების მინდორი, სადაც სხვათა შორის არის არსენალის ტირიც...

კარგი იქნებოდა, რომ სამწყობრო ტაქტიკური მეცადინეობის საწარმოებლათ რომ ერთიმეორეს ხელი არ შეუშალოთ, იქნეს მიჩენილი უბანი, სადაც შეიძლება შევიდეს რამოდენიმე ნაწილი და შემდეგ ნაწილებს შორის მოხდება შეთანხმებული მუშაობა, ე. ი. მინდვრათ გასვლა; რასაკვირველია ერთი და იგივე უბანში სისტემატიურათ ტაქტიკური მეცადინეობის წარმოება არ არის მიზანშეწონილი სხვა და სხვა მოსაზრებებით, მაგრამ არც ის ვარგა, რომ სხვასაც შეუშალო ხელი.

ჯ. ძუთელია.

## ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲬᲐᲛᲚᲐᲕᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ.

მომწამლავ ნივთიერებას, როგორც ზევით აღვნიშნე აქვს თვისება დაზიანოს ადამიანი საველე თავშესაფარშიაც, რაიც აიხსნება იმით, რომ მომწ. ნივთიერება ბრძოლის დროს იხმარება აირების სახით (ორთქლი, ნისლი და კვამლი) ე. ი. ისეთ მდგომარეობაში, რომელიც საშვალებას იძლევა გაავრცელოს ის ყველა მხარეზე და მასთან გაატანოს პატარა და თვალით დაუნახავ ნაპრეტებშიაც.

ამავე დროს მომწამლავი ნივთიერების ღრუბლებს თვისება აქვს მიწაზე დიდხან გაძლებისა; ეფინება რა ზედ ხანდახან ქარის საშვალებით, მიიწევს შორს მანძილზე, უვლის ყველაფერს რაც კი მას ხვდება და თავისუფლათ ჩადის დაბალ და ამოღრმავებულ ადგილებში· ადვილი წარმოსადგენია, რომ მომწამლავი ნივთიერების ღრუბლები თავისუფლად ჩადის სანგრებში და მასთან უფრო ღრმა თავშესაფარშიაც, სადაც ძნელათ წვდება საველე არტილერიის ყუმბარა.

რომ შევადაროთ ამ მხრივ ცეცხლის მსროლელი და ქიმიური იარაღი, ჩვენ დავინახავთ, რომ პირველი აზიანებს მტერს გულის ან ყუმბარის სრიალის ხაზზე. ამასთანავე მას აქვს სწორ ხაზიანი მიმართულება. მომწამლავი ნივთიერება კი მიდის ყველა მიმართულებით, მით უმეტეს ქარის საშვალებით და ჩადის ყველა ამოღრმავებულებში. ამდაგვარად მომწამლავი ნივთიერება ვითომდა თვითონ ეძებს მტერს და დაუზიანებელ ადგილებს. მასთან მომწამლავი ნივთიერებისათვის „მკვდარი მიდამოები“ არ არსებობს.

გულა სჭრის ან ჰკლავს ცოცხალ არსებას, რომელიც მას ხვდება და მისი მოქმედება ამითვე თავდება. არტილერიის ყუმბარა აფეთქებისას ფანტავს ჰაერში ნახეთქებს, რომლებიც მიწაზე დაცვენისას რამოდენიმე წამის შემდეგ ხდებიან სრულიად უვნებლები. სულ სხვა არის გასროლილია ქიმიური ყუმბარა. ის აფეთქების შემდეგაც ინახავს თავის სასიკვდილო მოქმედებას რამოდენიმე ხნის განმავლობაში—რამოდენიმე დღემდე და თითქმის კვირამდეც.

ამასთანავე არის ისეთი მომწამლავი ნივთიერებანიც, რომლებიც სწრაფათ იფანტებიან ჰაერში; არიან ისეთებიც, რომლებსაც შეუძლიათ ჰაერის და მიწის დაზიანება რამოდენიმე ხნის ვადით. ქიმიური ყუმბარები, რომლებითაც გერმანელები ესროდენ ომის ბოლოს ქ. არმანტერს (ბელგია), გამზადებული იყო ისეთი მომწამლავი ნივთიერებით, რომლებსაც ჰქონდათ ხანგრძლივი მოქმედების თვისება.

ქ. არმანტერიდან გერმანელებმა გარეკეს ინგლისელები, მაგრამ ორი კვირის განმავლობაში მათ ვერ შესძლეს შიგ შესვლა, ვინაიდან ყუმბარებიდან გადმოსხმული მომწამლავი ნივთიერების სითხე განაგრძობდა შხამიანი ორთქლის აშვებას. აქედან ცხადია, რომ ცეცხლის მფრქვევი იარაღი მოქმედობს სწრაფად და ქიმიური კი ხანგრძლივად. გარდა ამისა ცეცხლის მსროლელი იარაღის საშვალებით შეიძლება ერთდროულათ დაზიანება მიზნების მცირე რიცხვისა. ქიმიური იარაღი კი მოქმედებს ყველაზე, ვინც კი მოხვდება მის მიერ მოწამლულ მიდამოებში.

დ. ჭავჭანიძე

## „ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ.

ამ დღეებში ინგლისის დედაქალაქ ლონდონში ჩატარებული „პროფკავშირთა მარცხენა უმცირესობის“ მოქმედების კონფერენცია მოასწავებს ახალ ნაბიჯს ინგლისის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის ორგანიზაციაში.

ჯერ კიდევ ერთი თუ ორი წლის უკან ინგლისის მუშათა მრავალრიცხოვანი ფენები, რომლებმაც შეიგნეს კლასიური ბრძოლის საბრძოლო პროგრამის აუცილებლობა, იბნეოდა საერთო პროფკავშირთა მასაში, რომელიც მორჩილებით მისდევდა რეფორმისტულ, შემთანხმებელ ლიდერებს. თუმცა, მართალია ისიც, რომ კაპიტალის შეტევა მუშათა კლასზე, კლასიურ ურთიერთობის გამწვავება, უმუშევრობის ზრდა და სამუშაო ხელფასის დაკლების ცდები შეუჩერებლივ იწვევდა მუშათა სულ მეტი და მეტი ფართე ფენების გადახრას მარცხნივ; მაგრამ ეს გამემარცხენებული მასები ვერ იყვენ დარაზმული, რომ სათანადო გავლენა მოეხდინათ პროფკავშირთა ბელადებზე. მაგრამ ეს გავლენა იმდენად ძლიერი მაინც იყო, რომ მან აიძულა პროფკავშირთა ბელადები შემდგარიყვენ უფრო გადამჭრელი პოლიტიკის გზაზე, კერძოდ აიძულა ისინი მიეღოთ პროფმოძრაობის მთლიანობის ლოზუნგი და კავშირი გაებათ საბჭოთა პროფკავშირებთან. მაგრამ კაპიტალთან ბრძოლაში ინგლისის პროფკავშირთა ლიდერების უმეტესობა მაინც განაგრძობდა დათმობით და მერყევ ხაზს.

რომ უფრო მეტი ძალა მიეცათ თავიანთ ხმებისა და გავლენისთვის, ინგლისის პროფკავშირთა აქტიურ მემარცხენე ჯგუფებმა გადასწყვიტეს შეექმნათ პროფკავშირთა მოძრაობაში თავიანთი ძლიერი უჯრედი „მემარცხენე უმცირესობის“ ორგანიზაციის სახით.

1923 წლის შემოდგომაზე დაიწყო ეს ორგანიზაციული მოძრაობა და რამოდენიმე თვეში „მემარცხენე უმცირესობის აღმასკომები“ უკვე არსებობდენ რკინისგზელთა, სამთო კავშირის, მელითონეების და მშენებელ მუშათა გაერთიანებებში.

ყველგან, კლასიურ ბრძოლის ლოზუნგების წამოყენებასთან ერთად, მემარცხენე უმცირესობამ წამოაყენა კონკრეტი მოთხოვნილებები 44 საათის სამუშაო კვირის შესახებ, 4 გირვანქა სტერლინგის *) რაოდენობით ხელფასის მიცემაზე კვირაში, სავალდებულო ზედმეტი სამუშაოს მოსპობის შესახებ და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში ამ აღმასრულებელ კომიტეტების გარშემო შემოკრებილ იქნა პროფკავშირთა მნიშვნელოვანი მასები, და წარსული წლის აგვისტოში მემარცხენე უმცირესობის ორგანიზაციამ მოიწვია თავისი პირველი სრულიად ინგლისის კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 750 ათასი მუშა მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან.

მხოლოდ ნახევარი წელი გავიდა და დღევანდელ მეორე კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა თითქმის მილიონამდე მუშა. ასე რომ „მემარცხენე უმცირესობის“ ორგანიზაციული მოძრაობა იზრდება იშვიათი სისწრაფით.

ეს ზრდა აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ინგლისის კაპიტალის აშკარა შეტევით მუშების წინააღმდეგ სამთო, მანქანათმშენებელ და ელექტრო ტეხნიკურ მრეწველობაში, და აგრეთვე რკინის გზებზე; პოლიციის დევნით კომუნისტების წინააღმდეგ, მთავრობის პოლიციური მზადებით ბრძოლისთვის მუშათა მოძრაობისა და კერძოდ—პროფკავშირთა წინააღმდეგ; ფაშისტურ და შტრეიკბეხერთა ორგანიზაციების ზრდით, რომლებიც, მთავრობის დახმარებით, მზად არიან აქტიურად დაეხმარონ კაპიტალს მუშათა კლასთან იმ მწვავე განხეთქილებათა შემთხვევაში, რომელსაც მოელიან ზაფხულის თვეებში.

ამ მიზეზებმავე განსაზღვრეს აგრეთვე ამხანად ჩატარებულ კონფერენციის ამოცანები. ეს იყო „მოქმედების კონფერენცია“, ე. ი. მან დასახა უშუალო გეგმა უახლოეს მუშაობისთვის.

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა, რომელსაც სურდა წინასწარ გაეტეხა სახელი კონფერენციისთვის და შეესუსტებია მისდამი ნდობა, ირწმუნებოდა, რომ აქ მთელი საქმე „კომუნისტურ ხრიკებშია“-ო.

დიახ, ინგლისის კომპარტია ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს „მემარცხენე უმცირესობის“ მოძრაობაში, მაგრამ ამ მოძრაობის წარმატებები აიხსნება არა „ხრიკებით“, არამედ იმით, რომ ამ მოძრაობის კომუნისტი ხელმძღვანელები აყენებენ იმ პროგრამას, რომელსაც მხოლოდ მარტოს შეუძლია იხსნას ინგლისის პროლეტარიატი მოზეიმე კაპიტალიზმის მხრივ სრული დამონავებისაგან.

და დღეს, ვინმე ოდესმე, ინგლისის მუშათა მასებს უფრო ნათლად ესმის, რომ გაცხოველებულ კლასიურ ბრძოლას შეუძლია მისცეს მათ გამარჯვება კაპიტალის და კონსერვატიულ მთავრობის პოლიციურ ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აი რატომ იყო, რომ კონფერენციას ზურგს უმაგრებდა მილიონი მუშა. აი რატომაა, რომ კიდევ მეტი რაოდენობა მუშების, რომლებიც ჯერ კიდევ არ შესულან „მემარცხენე უმცირესობის“ ორგანიზაციაში ფორმალურად, მთლიანად უჭერს მხარს მემარცხენე მოძრაობას. აი რატომ იქნა კონფერენციის ყველა საბრძოლო რეზოლიუციები მიღებული აღფრთოვანებითა და ერთხმად, რასაც არასდროს ადგილი არ აქვს შემთანხმებელთა კონფერენციებსა და ყრილობებზე.

ამ ერთსულოვნობაში მდებარეობს თავდები იმის, რომ ინგლისის პროლეტარიატი არ დაუთმობს კაპიტალს სასტიკი ბრძოლის გარეშე და რომ ამ ბრძოლაში ის იბრძოლებს სრულ გამარჯვებამდი.

ა. ხ.

*) სტერლინგი დაახლოებით ცხრა მანეთს უდრის.

134

# ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲣᲗᲮᲔᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲖᲔ.

## ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲘ.

მე 5 ლეგიონი.

კოლუაშვილი ვალერიანი, კ. პარტიის კანდიდატი. მოვ[...] ვადიან შეკრებისათვის ადრევე შეუდგა სოფელში ტერ[...]ტემის მნიშვნელობაზე საუბრების ჩატარებას. შეადგინა ტერსისტემის მნიშვნელობის მცოდნეთა კადრი და ფართოდ შეუდგა მოსახლეობის შორის პროპაგანდის წარმოებას. თავისი სოფლის ქოხ-სამკითხველოში მოაწყო სამხედრო კუთხე და შეადგინა სამხედრო წრე ცვალებადელებისაგან. ლეგბიბლიოთეკიდან ყოველთვიურად მიაქვს კოლექტიური აბონემენტით წიგნები. გამოწერილი აქვს მრავალი გაზეთები.

ამხ. კოლუაშვილი თავისუფალ დროს ანდომებს სამხედრო ხასიათის საუბრებსა და ხმა-მაღალი კითხვის ჩატარებას. მოსახლეობის შორის კარგი ავტორიტეტი აქვს. არჩეულია ადგილობრივი საბჭოს წევრად, ცვალებადელთა რწმუნებულად და ადგილობრივ კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრად. ლეგიონთან მჭიდრო კავშირშია. ყოველგვარი საჭირო ნივთები ეძლევა ლეგიონიდან.

ქართული ლაშქრის 5-თი წლის თავზე ამხ. კოლუაშვილი დაჯილდოებულ იქნა ლეგიონის მიერ.

თ. დევაძე.

## ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲖᲔ

მე 5 ლეგიონის სამხედრო კუთხე.

ჩვენი ლეგიონის თაოსნობით გახსნილი იქნა სამხედრო კუთხე ქუთაისის გლეხთა სასახლეში. კუთხის გამგეთ არჩეულია სასახლესთან არსებულ კოლოფების სახელოსნოს მუშა ამხ. ვალერიან მიქელაძე—ახკომკავშირის წევრი, წვევამდელი, გლეხთა ადგილკომის და სამხედრო კუთხის ბიუროს წევრი- ბიუროს წევრებს შორის წესიერად არის განაწილებული მოვალეობანი და მუშაობაც ნაყოფიერად სწარმოებს. კუთხეში ჩათრეულია სახელოსნოს მუშათა მთელი შემადგენლობა.

კუთხის გამგეს თვიური მუშაობის გეგმა, ეძლევა ლეგიონის კლუბის გამგეობისაგან. კუთხის გამგე ყოველდღიურად აწარმოებს აღრიცხვას თუ ვინ ესწრება და ვინ არა კუთხეში, რომელიც ყოველთვიურად ეგზავნება ლეგიონის კლუბს.

გამოყოფილია სპეციალურად ერთი ამხანაგი, რომელიც თვალყურს ადევნებს კუთხის ქონებას, იცავს სისუფთავეს და მნახველებს აწვდის შესაფერ ცნობებს. კუთხეს მჭიდრო კავშირი აქვს ნაწილის უფპოლიტშემადგენლობასა და კლუბთან. ხშირად სწარმოებს სამხედრო ხასიათის ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა. არის საცნობო მაგიდა, კითხვა-პასუხის რვეული. იქვე არსებობს სამხედრო ცოდნის წრე 28 წევრით. ამათგან 15 ქალია და 13 კაცი. გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „გლეხის ხმა." ქოხსამკითხველოში ყოველთვიურად არის 15—20 სამხედრო ხასიათის წიგნები. კუთხეს გაზეთები ეგზავნება ლეგიონიდან. გაზ. „წითელ არმიელზე" ხელი მოაწერეს 6 ამხანაგმა.

სამხკორი თ. დევაძე.

## ᲐᲗᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ.

მე-5 ლეგ. 3 ე ათასეული.

ათასეულის თავი ამხ. შალიკო მესხი წითელი ჯარის ენერგიულ მუშაკათ ითვლება. ის მუშაობს წითელ ჯარში 1921 წლიდან. პირველ ხანებში ის მეთაურობდა 9 ასეულს და პირველი ადგილი ეჭირა თავისი საქმიანობით, რისთვისაც მიიღო მადლობა ლეგიონიდან. ბიურო-კოლექტივმა კი ამხანაგი აღნიშნა წითელ დაფაზე. როგორც კეთილსაიმედო პიროვნება და თავისი საქმის კარგად მცოდნე ამხანაგი დანიშნული იქნა ახალციხის ათასეულის დროებითი უფროსად. თავისი მუშაობით აქაც კარგი სახელი დაიმსახურა, როგორც ნაწილში, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების წინაშე. 1923 წელს კი გადმოყვანილი იქნა 5-ე ლეგიონის ათასეულის თავის თანაშემწედ, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამხედრო და ლენინის კუთხეების მოწყობაში. მის მიერ მოწყობილი კუთხეები სამაგალითოდ ითვლებოდა მთელს ლეგიონში. არჩეული იქნა კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ და ხელმძღვანელობდა სანიტარულ და სამხედრო წრეებს. ბანაკში ყოფნისას ასრულებდა მრავალ სამუშაოებს და ხელმძღვანელობდა სხვა და სხვა წრეებს, რისთვისაც ლეგიონის დღესასწაულის დღეს გადაეცა ჯილდო... ბული იქნა მადლობის ნიშნად შუქის გაზეთზე.

მენშევიკური გამოსვლების დროს 1924 წ. აგვისტოში ამხ. დანიშნული იქნა „ჩონის" ნაწილების უფროსად, როგორც საიმედო ელემენტი. შემდეგ იყო ქ. ქუთაისის გარნიზონის კომენდანტი. ენერგიული მუშაობისათვის აქაც წარდგენილი იქნა ჯილდოზე. ამავე წელში გაგზავნილი იქნა ჭრებალოში ათასეულის თავად. აქაც თავი ისახელა გლეხებთან დაახლოებაში.

ამავე წელში გადაყვანილი იქნა თავისი ათასეულით ქალ. ოზურგეთში, სადაც არა ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობის შორის. ის თავისი ხელით აგებდა სოფლებში ქოხ-სამკითხველოებს და სამხედრო კუთხეებს.

დახმარებას უწევდა ღარიბ გლეხობას მიწის დამუშავებაში, არხების გაყვანასა და სხვა სამუშაოებში. მისი შემწეობით გურიის ხალხში დიდი სიყვარული დაიმსახურა მთელმა ათასეულმა და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მიიღო მადლობის ნიშნად წითელი დროშა.

სამხკორი შ. დოლიძე.

## ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ.

მე 5 ლეგიონი.

ამავე ლეგიონში ითვლება წითელ არმიელი, კუპრაშვილი გაბო, რომელიც წითელ ჯარში მოსვლისას იყო სრულიად უცოდინარი და წერა კითხვა შეისწავლა ნაწილში. ჯარში გამოწვევამდე იყო მოჯამაგირე—მწყემსი სიღნაღის მაზრაში; ლეგიონში მოსვლისთანავე ის კარგად შეეგუა წითელ ყაზარმაში ცხოვრებას.

წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, თავისი სურვილით ამხ. კუპრაშვილი შევიდა უმცროს მეთაურთა სკოლაში, რომელიც პირველ ხარისხზე დაასრულა. მას შემდეგ ამხ. კუპრაშვილი არის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, როგორც სჩანს მისი პირადი აბონიმენტიდან, კითხულობდა უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის წიგნებს და ამასთანავე ბელეტრისტიკულ ნაწარმოებებს.

ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში წაკითხული აქვს სულ 37—წიგნი, ადგენდა წაკითხულის კონსპექტებს და ნაწილობრივ, რეცენზიებსაც სწერდა. მიმართავდა ბიბლიოთეკარს გაუგებარ სიტყვების ახსნისათვის.

აწარმოებდა ზეპირ რეკომენდაციას, არის წიგნის სამაგალითო მომვლელი. ამხ. კუპრაშვილი კითხულობდა უმთავრესათ გაზეთ „წითელ არმიელ"-ს „ახალ სოფელს" და „კომუნისტსაც".

ხშირად აკეთებდა მოხსენებებს ლენკუთხეში. მონაწილეობას ღებულობდა სხვა და სხვა წრეებში, და საზოგადოებებში როგორიცაა: ლიტწრე, რომლის ხელმძღვანელიც იყო და მოაწყო რამოდენიმე გასამართლება. ირიცხებოდა აქტივ წევრათ რემედასის და ავიაქიმის საზოგადოებაში, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში, დრამწრეში და სხვა.

გზავნის წერილებს „წითელ არმიელში" სისტემატიურათ ნაწილის ცხოვრებიდან. ამხ. კუპრაშვილი აქვე შევიდა კომუნისტურ პარტიაში და დღეს ითვლება კომპარტიის წევრათ.

ეხლა გადაყვანილია ამავე ლეგიონის მე-9 ასეულში, საიდანაც გვაწვდის წერილებს სკოლის კედლის გაზეთისათვის.

ან. ანდღულაძე.

## ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ Წ. ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ.

მე-2 საკავშირო ასეული.

ამხ. გოგლიძე მოვლენილი იქნა ასეულის სკოლაში 15 იანვრიდან, რომელმაც იმ თავითვე დიდი აქტიობა გამოიჩინა და დიდი სიმპატია და ავტორიტეტი დაიმსახურა ნაწილის წითელ არმიელებში. ითვლება საუკეთესო მკითხველად. ამ ხნის განმავლობაში წაიკითხა სულ 18 წიგნი. ხშირად აწარმოებს წითელ არმიელებში გაზეთების ხმა მაღალ კითხვას, გაუგებარი სიტყვები სისტემატიურად შეაქვს სამკითხველოს კითხვა-პასუხის რვეულში. დიდ მონაწილეობას ღებულობს [...]ს გარეშე მუშაობაში. წითელ არმიელებს უხსნის და პარავს სამუშაოდ წრეებში. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კედლის გაზეთის გამოშვებაში. ხშირად აწვდის წერილებს გაზ. „წითელ არმიელს", სისტემატიურად ესწრება კრებებზე. ეხმარება ბიბგამგეს მუშაობაში და ენერგიულად ასრულებს მის დავალებებს.

ბიბგამგე ვ. როსნაძე.

## ᲓᲐᲕᲐᲐᲠᲡᲝᲗ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

1-ლი ლეგიონი.

24 მარტს ლეგიონის 7 ასეულში შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ავიაქიმის უჯრედის დაარსებისა და რემედასის გაფართოების შესახებ.

გაკეთებული იქნა სათანადო მოხსენება. წითელ არმიელებმა მრავალი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ქიმიური უჯრედი და როგორ იწარმოებს შიგ მეცადინეობა. განსაკუთრებით აინტერესებდათ ამხანაგებს ქიმიის მეურნეობაში გამოყენების საკითხი, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ვაშუქებული.

კრების დასრულების შემდეგ იქვე გაიმართა უჯრედის წევრებად მიღება. თითქმის ყველა ჩაეწერენ. ჩვენ თამამად შეგვიძლია ამის შემდეგ ვთსქვათ, რომ ჩვენს წითელ არმიელებს შეგნებული აქვთ ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობა და ენერგიულად ებმებიან მუშაობაში.

სამხკორი ა. ოდიშარია.

## ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

მე-4 ლეგიონის მე-5 ასეული

20 და 21 მარტს ჩვენმა ასეულმა დაამთავრა მოკლევადიანი ცვალებად წითელ არმიელთა მეცადინეობა. უკანასკნელ შეკრებაზე ასეული გადიოდა მე-3 და მე-4 ვარჯიშს პრაქტიკულ სროლაში. მხოლოთ 21 მარტს კი გაიმართა სროლაში შეჯიბრება ცვალებად წითელ არმიელების და კადრი წითელ არმიელებს შორის. სროლა სწარმოებდა 300 ნაბიჯიდან ხუთი ვაზნით დროს განსაზღვრით.

შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა ასეულის ზემდეგმა და მეორე კი ცვალებად წითელ არმიელმა.

სრულ 12 საათზე გათავდა სროლა.

მთელი ასეულის შემადგენლობა გაემგზავრა ასეულში, საზეიმო სხდომაზე დასასწრებად, რომელიც შესდგა მუშათა კლუბში.

20 მარტს ადგილობრივი ხელისუფლებამ გადმოგვცა ასეულში 50 მანეთი დღესასწაულის ჩასატარებლათ.

21 მარტს საზეიმო სხდომაზე კი ხელისუფლებამ გადმოგვცა 200 მანეთი.

ამავე დღეს ასეულმა შესძლო თავის საშეფო სოფელში მოეწყო სამხედრო კუთხეები. საზეიმო სხდომიდან დაბრუნებისას ასეულში, ცვალებადი და კადრის არმიელები დაემშვიდობენ ერთმანეთს, რის შემდეგ პირველნი გაემგზავრენ თავთავიანთ სახლებში.

სამხკორი ალი. ხიტირია.

## ᲬᲘᲜ ᲛᲘᲕᲘᲬᲔᲕᲗ.

ქ. ონის, მე-2 ასეული.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ასეულში დანიშნული იქნა ხელმძღვანელად ამხ. ასათიანი, ნაწილის საქმიანობა ყოველ მხრივ გამოცოცხლდა. განსაკუთრებით მეტად კარგ ნიადაგზე დადგა სამხედრო მეცადინეობის საქმე, რითაც დიდათ დაინტერესებული არიან ჩვენი წითელ არმიელები. ამხანაგი მეთაური დიდ ყურადღებას აქცევს ასეულში დისციპლინის განმტკიცებასა და წესიერების დამყარების საქმესაც. ყოველგვარ ნაკლულოვანებების წინააღმდეგ სასწრაფოდ ღებულობს ზომებს. ასეთი ხელმძღვანელის მეოხებით ასეული მალე გადაიქცევა ერთ-ერთ სამაგალითო ნაწილად.

სამხკორი ა. ც—ე.

## ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ.

1-ლი ლეგიონი.

დასრულდა ლეგიონის კლუბის შეკეთება. 27 მარტს მოხდა მისი საზეიმო გახსნა. ნაწილის შემადგენლობის გარდა გახსნას დაესწრენ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ოჯახის წევრებიც. პირველი მოხსენებით გამოვიდა კლუბის გამგე, რომელმაც აღნიშნა თუ რა როლს ასრულებს კლუბი ჩვენს ჯარში და რა მნიშვნელობა აქვს მას.

მოხსენების შემდეგ დაიდგა პიესა „ვეგეჭკორი." უკრავდა ლეგიონის ორკესტრი. პიესის შემდეგ გამოვიდენ წითელ არმიელთა მომღერალი გუნდები, რომლებმაც მშვენივერად შეასრულეს გურული, მეგრული, კახური და სხვა სიმღერები. დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში, რომელშიდაც მეთაურებმაც მიიღეს მონაწილეობა. საღამომ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იმედია კლუბი გაამართლებს მომავალში ჩვენს იმედებს.

სამხკორი კუჭავა.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲙᲣᲗᲮᲔᲔᲑᲨᲘ.

### ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ.

მეთაურთა სკოლის მე-3 ასეულის ლენინის კუთხე სამაგალითოდ ითვლება სკოლაში. კუთხეში უქმეებისდა მიხედვით არის შერჩეული დიაგრამები, პლაკატები და ლოზუნგები. კუთხეში დაარსებულია აგრეთვე სხვა და სხვა განყოფილებები, რომლებსაც მიჩნეული ყავს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელები.

ზედმეტ სიჭრელის, პლაკატებით, ლოზუნგებით და დიაგრამებით დატვირთა განდევნილია კუთხიდან. ყოველ დღე იკვრება ახალი მასალები მეცადინეობისდა მიხედვით. ყოველ დღე ტარდება საუბრები და ხმამაღალი კითხვები. საუბრებს თვით კურსანტები ხელმძღვანელობენ. კუთხე გადაქცეულია კურსანტების თვითგასაცნობიერებელ ადგილად.

კურსანტი ნ. სახუაძე.

## ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲐᲬᲧᲝᲑᲗ ᲛᲐᲜᲔᲟᲡ

ცხენ. ლეგიონი

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ლეგიონი შეუდგა მანეჟის მოწყობას. ძველი მანეჟის სახე სრულიად შეცვლილი იქნა, ხდება მისი ძირეულად გადახალისება,

გააფართოვეს ადგილის მოედანი, რომელიც აღწევს 2 ქცევა ნახევრამდე. მანეჟში ეწყობა მრავალი ბარიერები სხვა და სხვა ფორმის, კეთდება როგორც ხისაგან, ისე აგურისაგან და თხრილების სახით.

მანეჟის მოწყობისათვის წარმოებული მუშაობა დამთავრდება ამ დღეებში და ლეგიონი შეუდგება ცხენებით ვარჯიშობას, რასაც მოუთმენლად მოელიან ჩვენი წითელ არმიელები.

სამხკორი პ. კახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

**მე-3 ლეგიონის საქმიანობიდან.**

ამ ჟამად ლეგიონში არსებობს 11 კომუჯრედი, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. თვითეულ უჯრედთან ამის გარდა არსებობს ახკომკავშირის ჯგუფები. ეს უკანასკნელები აწარმოებენ მუშაობას კომუჯრედების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამწუხაროდ ზოგიერთ კომუჯრედებს აკლიათ სიცოცხლე. მაგალითისათვის მოგვყავს 11 კომუჯრედი, რომელსაც ესაჭიროება მაქსიმალურად ენერგიის დაჭიმვა და სხვა უჯრედებთან გათანასწორება.

პოლიტგანყოფილებასთან კავშირი დამაკმაყოფილებელია. ხშირად მოდიან პასუხისმგებელი ამხანაგები და გვაძლევენ სხვა და სხვა მითითებებს მუშაობაში.

კარგი იქნება ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდებოდეს ბოლომდე.

სამხკორი ის. გოგოტიშვილი.

**ჩვენი ბიურო კოლექტივი.**

22 მარტს ცხენ. ლეგიონის კლუბში შესდგა ნაწილის ბიურო კოლექტივის კრება; გასარჩევი იყო: დივიზიის პოლიტგანყოფილების მუშაობა ნაწილებში, 14 პარტყრილობის რეზოლიუციების განხილვა და სხვა.

მომხსენებლებმა ვრცლად აღნიშნეს პოლიტგანყოფილების მუშაობის მიღწევები ტერნაწილებში. იყო მრავალი შეკითხვები, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინოთ გახადა მუშაობის მთელი მიმდინარეობა, რომელიც მოწონებული იქნა კრების მიერ.

დასასრულ გაირჩა ზოგიერთ ამხანაგების ანკეტები პარტიაში მიღების შესახებ. სულ იყო ხუთი ამხანაგი. ყველა დაკმაყოფილებული იქნენ.

სამხკორი პ. კახ-ძე.

# წრეები ამოქმედდენ

**მე 4 ლეგ. მე-3 ათასეული.**

ჩვენს ნაწილში დიდი ყურადღება ექცევა წითელ არმიელებისაგან თვითგანვითარების საქმეს. გარდა იმისა, რომ მონდომებულად კითხულობენ წიგნებს, დაარსებული აქვთ სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რომლებშიდაც გამუდმებით სწარმოებს ლექციებისა და საუბრების კითხვა. ხშირად ხდება აგრეთვე ლიტერატურული გასამართლებებიც

ჯერ-ჯერობით ათასეულში არსებობს: სამხედრო სამეცნიერო, ფიზკულტურის, ლიტერატურული დრამ. და მომღერალთა წრეები. ხელმძღვანელობას უწევენ წრეებს მეთაურები.

ამნაირად ათასეული შესაფერ სიმაღლეზე სდგას ამ მხრივ, რაც იმედია კიდევ უფრო გაიზრდება და გაუმჯობესდება. ამის საწინდარია ჩვენი წითელ არმიელების ინტერესი ცოდნის შეძენისადმი და მეთაურების გულმოდგინეობა ხელმძღვანელობაში.

სამხკორი ვ. ნარსია.

# სამხკორის ხმამ გასჭრა

**მეთაურთა სამხ. სკოლა**

ამ რამოდენიმე დღის წინად გაზ. „წითელ არმიელის" ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი ჩვენი სკოლის სხვა და სხვა ნაკლულოვანებების, როგორც მაგალითად კლუბში სკამების უქონლობისა და წიგნების გაფუჭების შესახებ.

სკოლის ადმინისტრაციამ იმ წამსვე მიაქცია ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება და მოგვარებული იქნა აღნიშნული დეფექტები. საჭიროა ხელმძღვანელები ყურადღებას მიაქცევდენ ამათაც და მიიღებდენ შესაფერ ზომებს მათ გამოსასწორებლად.

სამხკორი გ.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

**კლუბში არ გვიშვებენ.**

მე-5 ლეგ. მე-2 ასეულის წითელ-არმიელებს ამ უკანასკნელ ხანებში საშვალება არა გვაქვს ვიაროთ კლუბში. თვითონ ასეულს არა აქვს საკუთარი კლუბი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით შეგვეძლო ადგილობრივ კლუბში სიარული. სამწუხაროდ ეს კლუბი ვიღაც კერძო პირს აქვს აღებული და წითელარმიელებს გვიკრძალავს სიარულს. რამოდენიმეჯერ მივმართეთ ამის შესახებ სათანადო ადგილზე, მაგრამ ჯერ არავითარი ზომები არ არის მიღებული. კლუბის პატრონი კი ჩვეულებრივად განაგრძობს თავის უდიერობას წითელარმიელების წინაღმდეგ. დროა ბოლო მოეღოს მის ასეთ საქციელს და ჩვენც მოგვეცეს კლუბში სიარულის საშვალება.

სამხკორი ა. ც—ე.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" ტყავტრესტის 1-ლ კომუჯრედისთვის 1-ლი აპრილიდან და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ტყავტრესტის ბიუროს მდივანს ამხ. ტერდადიანს, მესამე რაიკომის მდივანს ვართაპეტოვს;

1-ლი ლეგიონიდან: რაჟდენ კაჭახიძეს, არჩუაშვილს, ქიმინსტრუქტორ გობრონიძეს, გორგასიძეს, ვასო გეგეჭკორს, საკავშირო გუნდის უფროსს გიორგი ადამიას, მისაბიშვილს, ვალერიან ადამიას, დათიკო გაბუნიას, ექთანაშემწეს კერესელიძეს, ახალაის, გივიშვილს, შ. კვინიკაძეს, სილაკარს და კოსტა ქაჯაიას. იმედია გამომეხმაურებიან ამხანაგები და ხელს შეუწყობენ ჩვენი გაზეთის გავრცელების საქმეს.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

**შეასწავლეთ სამხედრო საქმე.**

მეთაურთა სკოლაში აგერ ნახევარი წელიწადი იქნება, რაც დამლაგებლებად არიან დანიშნული რამოდენიმე წითელარმიელები, რომლებმაც არაფერი არ იციან სამხედრო საქმის, თოფსაც კი ვერ იცნობენ. პირადად დიდათ არიან მოწადინებული ყველაფერი შეისწავლონ, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

წითელარმიელების ასე დატოვება შეუძლებელია. დროა მათაც მიაქციონ ყურადღება და მისცენ სამხედრო და პოლიტიკური განვითარება.

სამხკორი გ.

# უცხოეთის არმიებში

**პოლონეთი ასამხედროებს თავის მოსახლეობას.**

რამოდენიმე წელიწადია მას შემდეგ, რაც პოლონელი გენერლები თავს იმტვრევენ მოსახლეობის გასამხედროებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ამ მხრივ სახელმწიფოში ახალგაზრდობას.

ბუნებრივია, რომ გენერლებმა შესძლეს მოეგვარებიათ გასამხედროების საქმე სხვა და სხვა „საზოგადოებრივი" ორგანიზაციების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით.

ასეთი საზოგადოებები არიან „პოლონეთის სახელმწიფო კავშირი", „საზოგადოება შევარდენი", პოლონეთის „თეთრი ჯვარი" და სხვა. ეს ორგანიზაციები პოლონეთის ბურჟუაზიის წმინდა ფაშისტური ორგანიზაციებია.

ეს ორგანიზაციები ავრცელებენ თავის გავლენას მთელს ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ ახალგაზრდობაზე.ასევე წარმატებით შესძლეს გასამხედროების გატარება სკოლებში განათლების და სასულიერო სამინისტროების შემწეობით.

მაგრამ ცუდათ არის დაყენებული მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის გასამხედროების საქმე. ეს ახალგაზრდობა უფრო რევოლიუციონური შეხედულების არის და სხვაგვარად აზროვნობს, ვინემ პოლონელი გენერლები.

მათი სამხედრო მომზადება გაძნელებულია, პირველ ყოვლისა იმით, რომ გენერლებს ეშინიათ ამ ახალგაზრდობის შეიარაღება. პოლონეთის განაპირა ნაწილებში—პოლესიეში, ვილენშჩინასა, გალიციასა და სილეზიაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ახალგაზრდობა არ ფარავდა თავის შეხედულებებს და საქვეყნოდ აცხადებდა თავის განზრახვებს იარაღის გამოყენების შესახებ.

მაგრამ გენერლებიც მაცდურად იქცევიან. მათ არ ასწავლიან იარაღის ხმარებას, არამედ იზიდავენ სპორტში და აზეპირებიებენ ლოცვებსა და სამშობლოსათვის თავდადების ლოზუნგებს. მაგრამ არც ეს ახალგაზრდობა ტყვილდება და მათთან გაგზავნილ ინსტრუქტორებს სრულიად არ უწევენ ანგარიშს.

# ახალი ამბები.

— **29 მარტს მარსელიდან** ბათომში ჩამოვიდა გემი „იმერეთი", რომელმაც ჩამოიტანა ამერიკული ვაზების, გოგირდის, შაბიაბანის და სხვა სას.-მეურნეობისათვის საჭირო საგნები.

— **ტრამვაის მუშათა სახლის ასაგებათ** ალმასკომმა გადასდო 1.900.000 მანეთი.

— **ჯანსახკომმა დაადგინა** მოაწყოს დანაშაულობათა ჩამდენ პირთა შემსწავლელი განყოფილება.

— **ზაჭესში მტკვარის დაგუბების გამო** დაზარალებულ გლეხებს თბ. ალმასკომმა მისცა დახმარება.

— **ფარმაცევტები.** 1 მაისს მოხდება საფარმაცევტო კურსების მსმენელთა პირველი გამოშვება.

— **კეთილმოწყობა.** ტფ. ალმასკომმა დაადგინა ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით გადაკეთოს ქალაქის ყველა თვალსაჩინო შენობები ქართულ სტილზე.

— **სესხი.** ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის გასცა სესხათ 785 ათასი მანეთი. ამ თანხიდან საქართველოზე მოვიდა 416 ათ. მანეთი

# ამბები სოფლებიდან.

**გურჯაანის ალმასკომმა** დაადგინა ვაჩნაძისეული ძველი შენობა მოახმაროს ადგილობრივ სკოლას.

**აფთიაქი სოფლათ.** რაჭის სამაზრო ალმასკომმა დაადგინა გახსნას აფთიაქი სოფ. ჭელიადელეში.

**გზის გაყვანა.** ლუხუნიდან აგარაკ ურავში (რაჭა) გზის გასაყვანათ რაჭის სამაზრო ალმასკომმა ამთავითვე გადასდო 10 ათასი მანეთი.

**წყალსადენის გაყვანა.** სოფ. ბაკურციხეში, ქვემო-მაჩხაანში და წითელწყაროში გლეხებმა გადასდეს საჭირო თანხა ადგილობრივ წყალსადენების გასაყვანათ.

**ახალი ალმასკომი.** ბორჩალოში უკვე შესდგა სამაზრო საბჭოთა ყრილობა, რომელმაც აირჩია ახალი სამაზრო ალმასკომი.

# პასუხი შეკითხვებზე

**საგინაშვილს.** როგორც მოხალისე უნდა იმსახუროთ ორი წელი. თუ ავადმყოფობის გამო სრულებით მოხსნილი ხართ აღრიცხვიდან, მაშინ 1907 წ. არ გამოგიწვევენ.

**გორელს.** მოგეცემათ ორი კვირის ჯამაგირი.

**მასვე.** სამხ. სამს. გათავების შემდეგ პირველ რიგში უნდა მოგეცეთ ადგილი, სადაც ასეთი თავისუფალი იქნება.

**ედეგაროვს.** ამა წლის შემოდგომაზე.

**კაპანაძეს.** ბეჭედის ტარებისთვის მეთაურს არ შეუძლია წ. ა. დაპატიმრება.

**№-ს ნაწილის სატუსაღოში** წ. ა. ეძლევა სინათლე და ლოგინი.

**მოურავიძეს.** შეგიძლიათ დურბინდი გქონდეთ სოფელში.

**მაკალათიას.** მიმართედ ტერ—სამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

**არუთინოვს.** სამხედრო სამსახურში გაწვევის ერთი თვის შემდეგ არავითარი დახმარება არ მოგეცემათ დამზღვევ სალაროდან. რძის ფული არ გეძლევათ.

**მეიფარიანს.** სახლის პატრონის ხარჯზე.

**იმერლიშვილს.** კლიმატიური მიზეზების გამო შეგიძლიათ ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა.

**ფირცხალავას.** სამსახურის სარგებლობისთვის შეუძლია დივიზიის უფროსის ნებართვით.

**წარნაკიძეს.** გამოუგზავნეთ რედაქციას.

**ზ—ძეს.** მოკლე ვადიან შვებულებაში წახვალთ მხოლოდ რაიმე ოჯახურ მდგომარეობის გამო და ისიც უფროსის ნებართვით.

**კ—ძეს.** უნდა იმსახუროთ ორი წელიწადი.

# ჩვენი ფოსტა.

**სამხკორ დედისე-ს**—შეგვატყობინეთ, რა ნაწილში აქვს ადგილი იმ უწესოებას, რომელზედაც თქვენ იწერებით.

**სამხკორ სიმართლეს**—თქვენი წერილი გადაეგზავნა ნაწილის უფროსს.

**ამხ. მაუზერს, ნ. ბერძნიშვილს და ს. კელაპტრიშვილს**—თქვენი წერილები გადაეგზავნა გაზეთ „ახალ სოფლის" რედაქციას.

**ამხ. კუპრაშვილს, ი. კიკნაძეს, შ. დოლიძეს, პ. კახიძეს, ფერიელს, მ. ჩხენკელს, ტ. ურთქმელიძეს, არჩ. გიორგობიანს, ლიახვს, ნ. კალანდაძეს**—თქვენი წერილები არ დაიბეჭდება, ვინაიდან ამ ხასიათის წერილები იყო მოთავსებული ჩვენ გაზეთში.

**ამხ. ა. ც—ე-ს, ს. მღებროვს, ქვაყუნდიელს, ა. დეისაძეს, დ. მათიაშვილს**—თქვენი წერილები დაგვიანების გამო არ დაიბეჭდება.

**სამხკორ გავაშელს**—თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სამხკორ მიხოს**—თქვენი წერილი „ნაკლი უნდა გამოსწორდეს"—გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქართულ მსრ. ლეგიონის მე-3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: სამნიაშვილს ზაქარია ალექსის ძეს (გორის მაზრა, სოფ. წვერი) და გურგენაძე გრიგოლ აბესალომის ძეს (ოზურგეთის მაზრა, სოფ. ჯიხანჯირი). ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გვაცნობეთ ათი დღის განმავლობაში.

მდივანი ი. მარკოზია.

2-ე არტლეგიონის საგაუბიცო დივიზიონის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ ა. ლ. კ. კ. წევრებს:

1. არუთინოვ მნაცაკანს, 2. პაპოვ ალექსანდრეს, 3. სარუხნოვ ვართანს, 4. რევიშვილს ბიქტორს და 5. უპარტიო ამხ. აქვსენტი გიორგობიანს.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ.

საგაუბაცო დივიზიონის კომუჯრედის ბიურო.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქაცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.